ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ
გაწეული მუშაობის შესახებ
ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნუგზარ სარჯველაძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობის დასახელება
(ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საკრებულოს კომისი(ებ)ის დასახელება, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც
არის საკრებულოს წევრი: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიები.

საკრებულოს ფრაქციის დასახელება, რომლის წევრიც არის საკრებულოს
წევრი: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საკრებულოს წევრის არჩევის წესი (მისი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტის მითითებით, - პროპორციული წესით არსებული წევრის შემთხვევაში, ან მაჟორიტარული ოლქის მითითებით, - მაჟორიტარული წესით არჩული წევრის შემთხვევაში): პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარული ოლქი 60/15
საანგარიშო პერიოდი: 03. 12.2021 – 31.10. 2022 წ.
ანგარიშის ტიპი (მორიგი, რიგგარეშე): მორიგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 14

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებზე დასწრება 14

2. სულ საკრებულოს კომისი(ებ)ის სხდომების რაოდენობა, რომლის (რომელთა) შემადგენლობაშიც არის საკრებულოს წევრი: 40

საკრებულოს წევრის მიერ კომისი(ებ)ის სხდომებზე დასწრება: 40

3. სულ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომების რაოდენობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -

საკრებულოს წევრის მიერ დროებითი სამუშაო ჯგუფის სხდომებზე დასწრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -

4. სულ საკრებულოს ფრაქციის სხდომების რაოდენობა: 12

საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს ფრაქციის სხდომებზე დასწრება: 12

5. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები: გომისმთის განაშენიანების გეგმა და ინფრასტრუქტურის მოწყობა, შემოქმედი, გორისფერდის სასაფლაოს შეღობვა, კვირიკეთში სკვერისა და მიმდებარე ტერიტორიების მოწყობა, გომში მინი ხიდის მოწყობა, გონებისკარში წყლის სისტემის მოწყობა, სოფ. ბოხვაურში ცენტრის კეთილმოწყობა.

საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა საკრებულოს - დადგენილება, საკრებულოს 1 განკარგულება

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი, სოციალური გასაცემლების წესის პროექტი,

7. საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა: -

8. საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: 20

საკრებულოს წევრის შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა: 300

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია ჯანმრთელობის პრობლემებთან, სოციალურ საკითხებთან, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოწესრიგებასთან, წყლის პრობლემის მოგვარება, ხიდის მშენებლობა, შიდა გზების რეაბილიტაცია.

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები): პრობლემის მოგვარების მიზნით საკითხის დაყენება მოხდა საკრებულოსთან არსებულ კომისიებზე, მოქალაქეთა მიერ შეხვედრებზე მოთხოვნილი საკითხები, ჩემი შუამდგომლობით წარედგინა შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს და მათი უმრავლესობა დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა: ტრენინგებში მონაწილეობა, მოსახლეობასთან დამატებითი შეხვედრები და მათი პრობლემების მოგვარებაში დახმარების გაწევა.

12. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობებით მიღებულ შედეგები: მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე (ეტაპობრივად) იწმინდებოდა სანიაღვრე არხები, წყლის სათავე ნაგებობების წყლის კალაპოტები, 60-მდე მოქალაქეს დაუფინანსდა პროგრამული ხაზით, საოპერაციო ხარჯები. 100-ზე მეტ სოციალურად დაუცველ მოქალაქეს დაუფინანსდა 100 ლარის ოდენობით წამლების საფასური სოციალურად დაუცველთა პროგრამიდან. შემოქმედის თემში დასაქმებული იქნა სხვადასხვა დაწესებულებებში 13 ადამიანი.

13. ინფორმაცია საკრებულოს წევრის შემდეგი საანგარიშო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ: მეტი ჩართულობა ამომრჩეველთან და მათი პრობლემების გადაჭრის გზები, სოფლებში შიდა გზების მოწესრიგება, სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

ხელმოწერა ნ. სარჯველაძე /ნუგზარ სარჯველაძე/